საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ს

აკადემიური საბჭოს

2011 წლის 16 დეკემბრის

დადგენილება № 571

2011-2012 სასწავლო წლის ოქტომბრის,ნოემბრის

და დეკემბრის თვეებში სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებული

სტუდენტებისაგან პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შერჩევის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 05 დეკემბრის N833 ბრძანებით სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტებისთვის 2011 წლის ოქტომბრის,ნოემბრის და დეკემბრის თვეებისათვის გამოყოფილი პრეზიდენტის სტიპენდია ფაკულტეტების შესაბამისად ბაკალავრიატის სტუდენტებზე პირველ რიგში, განაწილდეს პრიორიტეტული სპეციალობების მიხედვით (ყველა საინჟინრო სპეციალობა, აგრეთვე ტურიზმი და ეკონომიკა);
2. პრეზიდენტის სტიპენდია დაინიშნოს 2010-2011 სასწავლო წლის ზაფხულის სესიების შედეგების მიხედვით;
3. ფაკულტეტებზე, დეკანის ფუნქციის შემსრულებლების ბრძანებით შეიქმნას საკონკურსო კომისიები პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების შესამუშავებლად და პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შესარჩევად, რომლებიც იხელმძღვანელებს შემდეგით:

   - პრეზიდენტის სტიპენდია დაენიშნება ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის სამშენებლო, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის, სამთო–გეოლოგიური, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის (გარდა ბიზნეს ორგანიზაციისა და ტრანსპორტის მენეჯმენტის სპეციალობებისა), არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტების ყველა სპეციალობის და ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტის ტურიზმისა და ეკონომიკის სპეციალობის იმ წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 91%-ს და მეტს ;

   - პრეზიდენტის სტიპენდიების დარჩენილი რაოდენობა დაენიშნება ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ყველა სპეციალობის (გარდა ტურიზმისა და ეკონომიკისა) და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და ტრანსპორტის მენეჯმენტის სპეციალობის

ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის წარჩინებულ სტუდენტებს ამ ფაკულტეტებზე სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით.

- პრეზიდენტის სტიპენდიის დანიშვნისას ფაკულტეტებზე თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობები; ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;

4. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე

გამოიცეს რექტორის ბრძანება პრეზიდენტის სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ.სალუქვაძე